

მომზადებულია სატელევიზიო გადაცემისთვის: “აგრობიზნესი”

მომზადებულია “ENPARD Ajara”-ს პროგრამის ფარგლებში,

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ,

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

საორიენტაციო ბიზნეს გეგმა - კარტოფილის ჩიპსების წარმოება, დაფასოება და რეალიზაცია

მოცემული დოკუმენტის მიზანია მკითხველს მისცეს ძირითადი წარმოდგენები განხილული ბიზნეს პროექტის რენტაბელობასთან დაკავშირებით. ასევე შეუქმნას მას წარმოდგენა ისეთ მნიშვნელოვან ბიზნეს ნიშნულებზე, როგორებიცაა თვითღირებულება, მუდმივი ხარჯები, მოგება-ზარალი, ფულადი სახსრების მოძრაობა, უკუგების კოეფიციენტი, მოგების მარჟა, საინვესტიციო ღირებულება და სხვა.

შესაბამისი სატელევიზიო ვერსიები შეგიძლიათ იხილოთ:

1. აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ვებ-გვერდზე: <http://ajaratv.ge/ge/shows/agrobiznesi>
2. ფეისბუქ გვერდზე: <https://www.facebook.com/agrorchevebi>
3. Youtube არხზე: <https://www.youtube.com/user/Phiruzi>

გადაცემაში მოყვანილი მოსაზრებები

ავტორისეულია და შესაძლოა არ ემთხვეოდეს

ევროკავშირისა და გაეროს მოსაზრებებს

ძირითადი ინფორმაცია

საზოგადოება იურიდიული პირია. იგი იურიდიული პირის სტატუსს და უფლებამოსილებას იძებს სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. საზოგადოების ოფიციალური ენაა ქართული.

საზოგადოების საქმიანობის საგანს წარმოადგენ კარტოფილის ჩიპსების წარმოება, დაფასოება და რეალიზაცია. საზოგადოების ძირითადი მიზანი არის მოგების მიღება.

საზოგადოების ამოცანა არის ბაზრების ათვისება და პროდუქტის ასორტიმენტის მუდმივი ზრდა. საწარმო განთავსებული იქნება ბათუმის ერთ-ერთ გარეუბანში, დისტრიბუციისთვის ხელსაყრელ ადგილას.

წინაპირობები

1. ბიზნეს-გეგმაგათვლილია ერთწლიან საანგარიშოპერიოდზე, ხოლო ხარჯები და შემოსავლები დაანგარიშებულიააჭარამომოქმედი საბაზროფასების მიხედვით;
2. პროექტი ითვალისწინებს 11,4 ტონა კარტოფილის ჩიპსის დამზადებასა და შეფუთვა-რეალიზაციას;
3. ერთი კილოგრამი კარტოფილის შესასყიდ ფასად, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ღირებულება სეზონურად იცვლება და 50 თეთრიდან 1 ლარამდე და 50 თეთრამდე მერყეობს, ნაგულისხმევია საშუალო მაჩვენებელი - 1 ლარი;
4. ერთი კილოგრამი მარლის შესასყიდ ფასად ნაგულისხმევია - 1 ლარი და 60 თეთრი;
5. ერთი ლიტრი ზეთის შესასყიდ ფასად ნაგულისხმევია 2 ლარი და 40 თეთრი;
6. ერთი კილოგრამი მზა პროდუქციის სარეალიზაციო ფასად, ბაზარზე არსებული ღირებულების გათვალისწინებით, ნაგულისხმევია 20 ლარი;
7. კარტოფილის გამოსავლიანობის მაჩვენებლად აღებულია საერთო რაოდენობის 25 პროცენტი; დანარჩენი 75 პროცენტი წარმოადგენს მეორად მასალას, რომელიც გამოიყენება პირუტყვის საკვებად და შესაძლებელია მისი რეალიზაცია;
8. გადასამუშავებელი კარტოფილის სახეობა არის ჩიპსის წარმოებისთვის ვარგისი ნაყოფის ასორტიმენტი;
9. გასაყიდი შეფუთვები წარმოდგენილია 50 და 70 გრამიანი პაკეტების სახით;

10. პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრად ნაგულისხმევია ქალაქი ბათუმი;
11. წარმოება გათვლილია 47 115 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების შექმნა-გამოყენებაზე;
12. წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 100 კვადრატულიმეტრისფართი;
13. სახელფასო ხარჯი დაანგარიშებულია კომპანიაში დღიურად და მუდმივად მომუშავე 6 პერსონაზე და წლიურად, ჯამში, შეადგენს 30 900 ლარს;
14. ბიზნესისსაინვესტიციომოცულობაარის 225 500 ლარი;
15. ბიზნესისრენტაბელობადათვლილია, როგორცსაკუთარი,
ასევემოზიდულისახსრებისშემთხვევაში;
16. საგადასახადო ვალდებულებები ნაჩვენებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
17. წლის ბოლოს არ არსებობს საქონლის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები;
18. გაანგარიშებებიგაკეთებულიაეროვნულვალუტაში;
19. აშშ დოლართან მიმართებაში ნაგულისხმევია გაცვლითი კურსი 2 ლარი და 40 თეთრი.

ბაზრის ანალიზი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საქართველოში ყოველწლიურად, საშუალოდ, 230 ათასი ტონა კარტოფილი მოჰყავთ, საიდანაც 18 ათასი ტონა ანუ საერთო რაოდენობის დაახლოებით 8 პროცენტი აჭარაზე მოდის. თავად რეგიონში, კარტოფილი, ყველაზე დიდი რაოდენობით ხულოს მუნიციპალიტეტში, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით ქობულეთში იწარმოება. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, რეგიონში, სულ 21 500 საკარტოფილე მეურნეობაა აღრიცხული, რომელთაგან დიდი უმრავლესობა საოჯახო ტიპისაა. სახნავ-სათესი ფართობების საერთო რაოდენობა კი, რომელზეც ავტონომიურ რესპუბლიკაში კარტოფილი მოჰყავთ, 2 ათასი ჰექტარია. ამ მაჩვენებლების მიხედვით, აქ, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 9 ტონას აღემატება, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, რადგან კარგი მოვლის პირობებში მოსავლიანობის გაზრდა 30 ტონამდე არის შესაძლებელი. რეგიონი გამოირჩევა კარტოფილის ჯიშობრივი მრავალფეროვნებითაც. აქ

წარმოდგენილი, სახესხვაობების საერთო რაოდენობა 10 ერთეულს აღწევს, თუმცა ჩიპსების წარმოებისთვის მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გამოყენება შეიძლება. აჭარაში მოყვანილი კარტოფილის რეალიზაცია, ძირითადად, ადგილობრივ ბაზარზე, გადაუმუშავებლად ხდება. ფასები სეზონის მიხედვით იცვლება და 1 კილოგრამზე, საშუალოდ, 50 თეთრიდან ლარნახევრამდე მერყეობს. რაც შეეხება ჩიპსებს, ის, ბათუმში, თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტში იყიდება, თუმცა მათი უმრავლესობა უცხოური, კერძოდ კი, თურქული, რუსული ან უკრაინული ნაწარმია. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით, ჩიპსების წარმოებას სულ სამი კომპანია ეწევა, რომელთაგან ნედლეულად ადგილობრივ პროდუქციას მხოლოდ ერთი იყენებს.

მონაცემის ანალიზმა აჩვენა, რომ ქალაქის სხვადასხვა უბანში მოქმედ მხოლოდ 8 მსხვილ და მცირე ზომის სავაჭრო ობიექტს, წლის განმავლობაში, საშუალოდ, 6 ტონაზე მეტი კარტოფილის ჩიპსის რეალიზების პოტენციალი გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ობიექტს, რა ზომისაც არ უნდა იყოს ის, წლის განმავლობაში 750 კგ ასეთი პროდუქტის გაყიდვა შეუძლია. იქედან გამომდინარე, რომ ბათუმში, ჯამში, სურსათით მოვაჭრე 600-ზე მეტი ობიექტია რეგისტრირებული, ნათელია, რომ ბაზრის გაჯერების მაღალი მაჩვენებლების მიღწევა მარტივი არ არის, რაც მეწარმისთვის ბაზარზე საკმაოდ ფართო გასაქანს ნიშნავს. რაც შეეხება სარეალიზაციო არხებს, იგივე მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით, 11 ტონა პროდუქციის გასაყიდად 220 ობიექტია საკმარისი, რაც მაღაზიების საერთო რაოდენობის 36 პროცენტია და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ბაზრის დიდ რესურსტევადობაზე.

პროდუქცია

პროექტისთვის საქონლის სახეობად აღებულია ჩიპსის წარმოებისთვის ვარგისი კარტოფილის ნაყოფის ასორტიმენტი. სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 50 და 70 გრამიანი პაკეტების სახით; პროექტის ფარგლებში საწრამო ახორციელებს 11,4 ტონა კარტოფილის ჩიპსის დამზადებასა და შეფუთვა-რეალიზაციას.

ფიქსირებული აქტივები

საწარმოო პროცესში საჭირო ძირითადი საშუალებები:

	დასახელება	ღირებულება GEL
1	ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	500
2	კომპიუტერი	600
3	ბუღალტრული პროგრამა	800
4	სასწორი	235
5	მანქანა-დანადგარი (გარეცხვა, გაფრცქვნა, დაჭრა)	3 120
6	მანქანა-დანადგარი (მოხალვა)	21 840
7	მანქანა-დანადგარი (შეფუთვა)	21 840

ეს არის ძირითადი საშუალებების მინიმალური ოდენობა, რომელიც კარტოფილის ჩიპსის საწარმოებლად საწარმოს არსებობის პირველი წლისათვის იქნა გათვალისწინებული ბიზნეს გეგმის შემუშავებისას.

ადამიანური რესურსები

საწარმოს ბიზნეს საქმიანობის პირველი წლისათვის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა 6 თანამშრომელი, რომელთაც განსაზღვრული ექნებათ კონრეტული ამოცანები.სათავეში იდგება საწარმოს *მენეჯერი*, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ბიზნეს პროცესს (დარიცხულიხელფასი 1000 ლარი თვეში).შემდეგი რგოლი სტრუქტურაში იქნება *ტექნოლოგი*, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიების ცოდნას და პრაქტიკულ წარმართვას (დარიცხულიხელფასი 800 ლარი თვეში). ასევე მნიშვნელოვანია *ტექნიკური პერსონალი*, რომლებიც უშუალოდ იქნება ჩართული ყოველდღიურ ოპერაციულ საქმიანობაში. (დარიცხულიხელფასი 375 ლარი თვეში). ასევე იქნება *გადასარჩევი საამქროს პერსონალი*, რომლის ვალდებულებულაც იქნება საწარმოო პროცესში კარტოფილის გადარჩევა, დახარისხება. საწარმოს ეყოლება სულ ორი გადასარჩევი საამქროს პერსონალი. (ყოველ სამუშაო დღეს თითოს ექნება დარიცხული 10 ლარი). საწარმოს სტრუქტურის ფინანსური ჯგუფის წარმომადგენელი იქნება *ბუღალტერი*. მის მოვალეობაში შევა საწარმოს ფინანსური ნაკადების რეგულირება, წლის ბოლოს საწარმოს ბიუჯეტის ბალანსირება და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა(დარიცხულიხელფასი 300 ლარი თვეში).

ფინანსური ინფორმაცია

აღნიშნული ბიზნესის დასაწყებად საჭიროა 225 500ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. ეს არის ის თანხა, რომელიც ძირითადი საშუალებების, ნედლეულის და შესაფუთი მასალების შექმნას და სხვა ხარჯების გასტუმრებას უნდა მოხმარდეს.

აღნიშნული ბიზნეს - გეგმა გათვლილია კარტოფილის ჩიპსების პოლიეთილენის პარკებში შეფუთულ პროდუქციის რეალიზაციაზე.

წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 100 კვადრატული მეტრის ფართი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში აღებული იჯარის პირობით, იჯარის თანხა შეადგენს თვიურ 800 ლარს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საწარმოს სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 50 და 70 გრამიანი შეფუთვის სახით; კომპონენტები რომლებიც თითოეული პროდუქტის თვითღირებულების ფორმულირებას ახდენენ არის პოლიეთილენის ფირი, ეტიკეტი, კარტოფილი, მარილი და ზეთი. აჭარაში მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით, 1 კილოგრამი კარტოფილის საშუალო შესასყიდი ფასი 1 ლარია, ზეთის - 2,4 ლარი, ხოლო მარილის - 1,6 ლარი. ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, შეგვიძლია ვნახოთ რა ღირებულებისაა თითოეული წარმოებული პროდუქტი :

ჩიპსი	შეფუთვა კგ-ში	ტარის ფასი			კარტოფილის ღირებულება	მარილი	ზეთი	სულ ერთეულის ღირებულება
		პოლიეთილენის ფირი	ეტიკეტი					
1	2	3	4	5	6	7	8	
შერეული კარტოფილი	0,070	0,14	0,08	0,28	0,002	0,25	0,75	
	0,050	0,10	0,05	0,20	0,001	0,18	0,55	

კარტოფილის შესყიდვების დინამიკის ანალიზმა აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მსგავსად მისი რეალიზაციაც სეზონურობით ხასიათდება. კერძოდ, გაყიდვების ყველაზე მეტი წილი - 35 პროცენტი მოდის მესამე კვარტალზე, 25 პროცენტი - მეოთხე და მეორე კვარტალზე, 15 პროცენტი პირველ კვარტალზე. ამ მოცემულობების გათვალისწინებით, შესყიდვების მაჩვენებლები კვარტლების მიხედვით ასეთი იქნება:

შესყიდული პროდუქცია	კგ	ღირებულება	4 კვარტალი			1 კვარტალი			2 კვარტალი			3 კვარტალი		
			კგ	ერთეული	ფასი	კგ	ერთეული	ფასი	კგ	ერთეული	ფასი	კგ	ერთეული	ფასი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
კარტოფილის ჩიპსები	0,070	0,75	1 280	18 320	13815	770	10995	8 290	1 285	18320	13815	1 795	25650	19340
	0,050	0,55	1 570	31 350	16660	940	18810	9 995	1 565	31350	16660	2 195	43890	23325
ჯამი:			2 850	49 670	30475	1 710	29805	18285	2 850	49670	30475	3 990	69540	42665

რაც შეეხება რეალიზაციას, კარტოფილის ჩიპსების საშუალო სარეალიზაციო ფასს, 50 გრამიანი შეფუთვის სარეალიზაციო ღირებულება, რომელშიც მისი გაყიდვა უშუალოდ მეწარმეს შეუძლია 1 ლარი, ხოლო ერთი ერთეული 70 გრამიანი შეფუთვისა 1 ლარი და 40 თეთრია. ამასთანავე წარმოების პროცესში მწარმოებელს შეუძლია დამატებითი შემოსავლის მიღება მეორადი საქონლის, კარტოფილის ნაფრცქვენის, რეალიზაციითაც, რომლის გასაყიდი ფასიც 1 კგ-ზე 20 თეთრია. აღნიშნულის გათვალისწინებით გაყიდვებისა მაჩვენებლები ჯამურად ასეთი იქნება:

ამონაგები თანხა რეალიზაციიდან	შეფუთვა კგ-ში	ერთეულის ფასი	სულშემოსავალი		
			სულ რეალიზებული კგ	სულ რეალიზებული საქონელი	სულ შემოსავალი რეალიზაციიდან
1	2	3	16	17	18
ჩიპსი	0,070	1,40	5 130	73 285	102 600
	0,050	1,00	6 270	125 400	125 400
ჯამი:			11 400	198 685	228 000
ნარჩენი		0,20	34 200	0	6 840
			34 200	0	6 840

მოგება და ზარალი

იმისათვის რომ შევაფასოთ კომპანიის ფინანსურის შესრულება დროის მოცემულ მომენტში, უნდა განვიხილოთ საწარმოს მოგება/ზარალის უწყისი. ეს არის ხარჯებისა და შემოსავლების შეპირისპირება, რომელიც გვაძლევს საშუალებას ფინანსურის ანალიზისთვის.

შემოსავალი			
	გაყიდვები ჩიპსის რეალიზაციიდან		228 000
	გაყიდვები ნარჩენის რეალიზაციიდან		6 840
	წმინდა გაყიდვები		234 840
გაყიდული საქონლის თვითღირებულება			
	საწყისი მარაგები		0
	დამატებული	კარტოფილი	45 600
		ნედლეული	41 365
		საქონლის ტარა	34 935
		ელ-ენერჯია	1 740
		ხელფასი	10 800
	გამოკლებული საბოლოო მარაგები		0
	გაყიდული საქონლის თვითღირებულება		134 440
	მოგება საქონლის რეალიზაციის შედეგად		100 400
ხარჯები			
	ხელფასი		20 100
	კომუნალური მომსახურება		360
	იჯარა		9 600
	ძირითადი საშუალებების ცვეთა		9 790
	სხვა ხარჯები		2 000
	ქონების გადასახადი		195
	მთლიანი ხარჯები		42 045
	მოგება		58 355
	დასაბეგრი მოგება		58 355
	მოგების გადასახადი (15%)		8 750
	წმინდა მოგება		49 605

გადამუშავების პროცესთან დაკავშირებული 25 პროცენტის განმოსავლიანობის გათვალისწინებით, 45 ტონა და 600 კგ კარტოფილისგან მზადდება 11 ტონა და 400 კგ ჩიპსი. თუმცა წარმოების პროცესში მწარმოებელს შეუძლია დამატებითი შემოსავლის

მიღება მეორადი საქონლის, კარტოფილის ნაფრცქვენის, რეალიზაციითაც, რომლის გასაყიდი ფასიც 1 კგ-ზე 20 თეთრია. ამ ორი პროდუქტის სრულად რეალიზაციისგან მიღებული წლიური შემოსავალი კი 234840 ლარი იქნება. თუ ამას, იმ დაშვებით, რომ კომპანიას არ აქვს საწყისი და საბოლოო მარაგები, გამოვაკლებთ გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რომელიც წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით შეადგენს 134 440 ლარს, ხელფასს, რომელიც მუდმივად დასაქმებული პერსონალისთვის, წლის განმავლობაში, შეადგენს 20 100 ლარს, კომუნალურ ხარჯებს, რომელიც აღწევს 360 ლარს, იჯარას, რომელიც დაქირავებული 100 კვადრატული მეტრის ფართის შემთხვევაში, არსებული საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით, წელიწადში, შეადგენს 9 600 ლარს, ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს, რომელიც არის 9 790 ლარი, ქონების გადასახადს, რომელიც შეადგენს 195 ლარს და სხვა ხარჯებს, რომელიც შეადგენს 2 000 ლარს, დაგვრჩება 58 355 ლარი, რაც დასაბეგრი მოგებაა. თუ ამ თანხას გამოვაკლებთ მოგების გადასახადსაც, რომელიც ამ შემთხვევაში შეადგენს 8 750 ლარს, დაგვრჩება 49 605 ლარი წმინდა მოგება. ამ გაანგარიშებებზე დაყრდნობით კი მოგების მარჟა 21 პროცენტი იქნება.

საწარმოს ნულოვანი მოგება

საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად საჭიროა განვიხილოთ ნულოვანი მოგება, რაც გულისხმობს პროდუქციის იმ რაოდენობის გამოთვლას, რომლის წარმოება-რეალიზაციაც მეწარმეს სრულად დაუფარავს როგორც საწარმოო ასევე მუდმივ ხარჯებს. ეს მაჩვენებელი საშუალებას მოგვცემს განსაზღვროთ, რამდენად სწრაფად შეძლებს საწარმო მუდმივი და ცვლადი ხარჯების დაფარვას და მომგებიანობის ეტაპზე გადასვლას. გამოთვლების შედეგად, დგინდება რომ ნულოვანი მოგებისთვის მეწარმემ, კომბინაციაში, ჯამურად, 94 455 ერთეული ჩიპსის შეფუთვის დამზადება და რეალიზაცია უნდა მოახდინოს, რისთვისაც, ჯამში, 5 ტონა და 420 კილოგრამი ნედლეულია საჭირო.

შესყიდული კარტოფილი	კგ	ღირებულება	სულ გაყიდვები		
			კგ	შესყიდული ოდენობა	შესყიდული ფასი
1	2	3	4	5	6
ჩიპსი	0,070	0,75	2 440	34 840	26 265
	0,050	0,53	2 980	59 615	31 685
ჯამი:			5 420	94 455	57 950

აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის დამზადება-შეფუთვა-რეალიზაციისგან კი მეწარმე ლეზლობს 111 645 ლარს, ანუ ზუსტად იმდენ შემოსავალს, რამდენიც საკმარისია მუდმივი და სხვა ხარჯების დასაფარად და ამის შემდეგ რეალიზებული ყველა ერთეული შეფუთვა მისთვის უკვე მოგებაა. ამ დაანგარიშებებით კი გამოდის, რომ მეწარმემ, იმისათვის, რომ ჩიპსების წარმოება არ იყოს მისთვის წამგებიანი, უნდა დაამზადოს და გაყიდოს საანგარიშო პერიოდში საწარმოებელი პროდუქციის დაახლოებით 47 პროცენტი ანუ ნახევარზე მცირედით ნაკლები.

ბალანსი

რაც შეეხება საწარმოს ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას წლის ბოლოს, კერძოდ კი საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ ინფორმაციას შევაფასებთ საწარმოს ბალანსის მიხედვით. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ პროექტის ფარგლებში არსებობს დაშვება რომ წლის ბოლოს ყველა დებიტორული და კრედიტორული დავალიანება არის დაფარული, რის გამოც ბალანსში არ არის მონაცემები საწარმოს ვალდებულებების შესახებ.

აქტივები

<i>მიმდინარე აქტივები:</i>	
ნაღდი ფული	9 420 GEL
საბანკო ანგარიში	225 500 GEL
მთლიანი მიმდინარე აქტივები	234 920 GEL

ვალდებულებები და კაპიტალი

<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>	
დარიცხული მოგების გადასახადი	8 750 GEL
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	8 750 GEL

<i>ძირითადი საშუალებები:</i>	
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	500 GEL
კომპიუტერი	600 GEL
მოწყობილობა და დანადგარები	47 035 GEL
მთლიანი ძირითადი საშუალებები	48 135 GEL

არამატერიალური აქტივები:	
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL
მთლიანი არამატერიალური აქტივები	800 GEL

კაპიტალი:	
საკუთარი კაპიტალი	225 500 GEL
გაუნაწილებელი მოგება	49 605 GEL
მთლიანი კაპიტალი	275 105 GEL

მთლიანი აქტივები	283 855 GEL
-------------------------	--------------------

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	283 855 GEL
--	--------------------

ბალანსის მიხედვით დგინდება, რომ საწარმოს წლის ბოლოს აქვს 283 855 ლარის მთლიანი აქტივები, რომლებიც შედგება მიმდინარე აქტივებისა და მატერიალური და არამატერიალური აქტივებისგან.

ამასთანავე აქვს გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს 49 605 ლარის ოდენობით, რომელიც დამფუძნებელს შეუძლია გაიტანოს დივიდენდის სახით.

ფულადინაკადების ანგარიშგება

ფულადინაკადების ანგარიშგება ანუ ეგრეთწოდებული „ქეშფლოუ“, წარმოადგენს უწყისს, რომელშიც, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, კომპანიაში შემომავალი და გამავალი ფულადი სახსრებია ასახული. მისი საშუალებით, კომპანიის მფლობელს შეუძლია პროგნოზის გაკეთება, რა მოცულობის ფულადი სახსრები ექნება კონკრეტული პერიოდისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება				
	4 კვარტალი	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი
ფულადი ნაკადების ჯამური მაჩვენებელი				
კვარტლის დასაწყისში ხელმისაწვდომი ფულის ოდენობა	0 GEL	194 085 GEL	200 310 GEL	217 830 GEL
კვარტლის ბოლოს ხელმისაწვდომი ფულის ოდენობა	194 085 GEL	200 310 GEL	217 830 GEL	247 075 GEL

ფულადი ნაკადების დაანგარიშება

ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	17 520 GEL	6 225 GEL	17 520 GEL	29 245 GEL
შემოსული ფულადი სახსრები საქონლის რეალიზაციიდან	58 710 GEL	35 225 GEL	68 185 GEL	96 990 GEL
ფულადისახსრებისაოპერაციოსაქმიანობიდან	41 190 GEL	29 000 GEL	50 665 GEL	67 745 GEL
შემენილი საქონელი (თვითღირებულებით)	30 475 GEL	18 285 GEL	30 475 GEL	42 665 GEL
კომუნალური გადასახადები	90 GEL	90 GEL	90 GEL	90 GEL
იჯარა	2 400 GEL	2 400 GEL	2 400 GEL	2 400 GEL
ხელფასის სახით განაცემი	7 725 GEL	7 725 GEL	7 725 GEL	7 725 GEL
სხვა ხარჯები	500 GEL	500 GEL	500 GEL	500 GEL
საგადასახადო ხარჯი	0 GEL	0 GEL	9 475 GEL	14 365 GEL

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	176 565 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
საინვესტიციო შემოსავალი	225 500 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
კაპიტალში შენატანი	225 500 GEL			
საინვესტიციო ხარჯები	48 935 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	500 GEL			
კომპიუტერი	600 GEL			
მოწყობილობა და დანადგარები	47 035 GEL			
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL			

დაფინანსების წყაროები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს საქმიანობის დასაწყებად საჭიროა 225 500ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. საწარმოო ინვესტირება შესაძლებელია სრულად იქნას განხორციელებული საწარმოს დამფუძნებლის მიერ, ასევე შესაძლებელია ნებისმიერი პროპორციის მიხედვით განაწილებულ იყოს დამფუძნებლის პირადი შენატანითა და შედარებით დაბალპროცენტიანი სესხით, ასევე შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებითაც.

პირველ რიგში განვიხილოთ შემთხვევა როცა საწარმოო ინვესტირება სრულად განხორციელდა საწარმოს დამფუძნებლის მიერ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტი. ამაში იგულისხმება ეკონომიკური რენტაბელობა ანუ ინვესტიციების ეფექტიანობა და მისი გამოანგარიშება წმინდა მოგების დაბანდებად კაპიტალთან შეფარდებით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რა რაოდენობის მოგებას მოგვცემს ყოველი ინვესტირებული ერთი ლარი. მოცემულ შემთხვევაში წმინდა მოგება შეადგენს 49

605ლარს, ხოლო ინვესტიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 225 500ლარს. შესაბამისად, მათი შეფარდება და ასზე გამრავლება გვაძლევს 22 პროცენტთან უკუგების ეს იმას ნიშნავს, რომ ჩიპსების წარმოება, ინვესტორს, ყოველ დაბანდებულ 1 ლარზე, 22 თეთრიან მოგებას მოუტანს. ამ პირობით, მოგების მარჟა კვლავ 21 პროცენტი იქნება, თუმცა იგი შეიცვლება იმ შემთხვევაში თუ მეწარმე საქმიანობას მოზიდული სახსრებით წამოიწყებს. კერძოდ, თუ კომპანია აიღებს 100 000 ლარის ოდენობის 11,8 პროცენტთან სესხს კომერციული ბანკიდან, 3 წლის ვადით, ხოლო დანარჩენი თანხა იქნება დამფუძნებლის პირადი შენატანი, მაშინ მოგების მარჟა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ რაოდენობის სესხის პროცენტის დასაფარად კომპანიას დამატებით 10 240 ლარის ოდენობის ხარჯის გაღება მოუხდება, 17 პროცენტამდე შემცირდება. შედარებით დაბალპროცენტის სესხის აღების ან საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში კიმეწარმეს საშუალებამიეცემა საკუთარი აქტივები სხვა მიმართულებით, მაგალითად, ბიზნესის მარკეტინგული კუთხით განვითარებისთვის გამოიყენოს.

ბიზნესის რენტაბელობის საბოლოო შეფასება

საერთოდ, ბიზნესის რენტაბელობა რამდენიმე პარამეტრით, მათ შორის კონკრეტულ დარგში არსებული კონკურენციით, ბაზრის თავისებურებით, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებით, გაყიდვების მაჩვენებლებით და მოსალოდნელი მოგების მარჟით ფასდება. გაანგარიშებებმა ნათლად აჩვენა, რომ კარტოფილის გადამამუშავება ყველა მათგანის შემთხვევაში, დადებითად ხასიათდება. კერძოდ, წარმოების ამ მიმართულებაში მომუშავე კომპანიების რიცხვი არის ძალიან მცირე, პროდუქციის თვითღირებულება ჯდება ნორმის ფარგლებში და გაყიდვების მაჩვენებლები არის დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება, მოგების მარჟას, როგორც უკვე ვნახეთ საქმიანობის ფინანსური ანალიზის შედეგად იგი წარმოადგენს 21%-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩირის წარმოება არის საშუალო რენტაბელობის ბიზნესი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში, საშუალო ოდენობის მოგებაზეა ორიენტირებული. ამ ტიპის სამეწარმეო საქმიანობა მომგებიანია იმ თვალსაზრისითაც, რომ არ მოითხოვს ძვირადღირებული საწარმოო საშუალებების შეძენას და ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯების ამოღება მეწარმეს მოკლე პერიოდში შეუძლია.

საწარმოო სტანდარტები და სურსათის უვნებლობა

კარტოფილის ჩიპსი არის პროდუქტი, რომელიც მზადდება სუფთა, ჯანსაღი და ზრდადასრულებული კარტოფილის ტუბერებისგან ან კარტოფილის გაყინული ნახევარფაბრიკატებისგან, რომელთა გამოყენებაც შესაბამისი დამუშავების შემდგომ უპრობლემოდ შეიძლება. ნედლეული, რომლისგანაც ის მზადდება, თავისუფალი უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში სუბსტანციებისა და საკვების დამაზიანებელი სხვა ნივთიერებებისგან. ამავე დროს ის არ უნდა შეიცავდეს კარტოფილისთვის არაბუნებრივ ორგანულ და არაორგანულ მასალებს, მაგალითად, ქვიშას, სილას და მინას. ჩიპსისთვის, როგორც საკვები პროდუქტისთვის წაყენებული ხარისხის და შემადგენლობის ძირითადი მოთხოვნების თანახმად, მის დასამზადებლად შეიძლება გამოვიყენოთ:

- ახალიკარტოფილისტუბერები;
- კარტოფილისგაყინულინახევარფაბრიკატები;
- საკვებიზეთიანცხიმი;
- სუფრისმარილი;
- სანელებლებიდასუნელები;
- ნებადართულიარომატიზატორები და;
- ორგანულიმჟავები, კერძოდ,ლიმონმჟავადაღვინის მჟავა.

ამასთან, არსებობს უკვე დამზადებული პროდუქტის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიც. კერძოდ, ჩიპსი, რომელმაც უკვე გაიარა ყველა საწარმოო პროცედურა და მზად არის შესაფუთად, უნდა ხასიათდებოდეს შემდეგნაირად:

- უნდაიყოსმოყავისფრო-ოქროსფერი;
- უნდაჰქონდესმისაღებიტექსტურა;
- უნდა ჰქონდეს ერთიანი, დაუზიანებელი ზედაპირი და თავისუფალი უნდა იყოს ამონაბურცებისა და მოჭარბებული ყავისფერი პიგმენტაციისგან;
- არუნდაიყოსმოჭარბებულადცხიმინიდა
- არუნდაჰქონდესუცხოსუნიდაგემო.

ჩიპსების შემთხვევაში დიდი ყურადღება ექცევა საკვები დანამატების გამოყენების და მასში პესტიციდებისა და სხვა დამაბინძურებლების ზღვრული ნორმების დაცვას. ამავე

დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროდუქტის ჰიგიენური უსაფრთხოებაც, რაც გულისხმობს მის დამზადებას, შენახვასა და ტრანსპორტირებას ისეთ პირობებში, რომელიც არ მიაყენებს პროდუქტს ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ფიზიკურ ზიანს და არ შეცვლის მის შემადგენლობას. ჩიპსების შეფუთვისას აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი მასალა, რომელიც იქნება უსაფრთხო და ამავე დროს დაიცავს პროდუქტს ხარისხობრივი მაჩვენებლების დაქვეითებისგან. ეტიკეტირებისას კი პაკეტზე დატანილი უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- პროდუქტისზოგადისახელწოდებაანუ „ჩიპსი“ ან „კარტოფილისჩიპსი“;
- მწარმოებლისანდისტრიბუტორისდასახელებადაფიზიკურიმისამართიანსავაჭრომარკისანბრენდისსახელწოდება;
- მითითებაარისტუარაგამოყენებულისანელებლები;
- წარმოებისთარიღი;
- ინგრედიენტებისჩამონათვალი;
- საიდენტიფიკაციონიშანი;
- გამოყენებისვადა;
- სუფთაწონა;
- შენახვისინსტრუქციები;
- მითითებაარისმარილიანითუუმარილო;
- მითითებაარისტუარაგამოყენებულიარომატიზატორები;
- ინსტრუქცია გამოყენებული შესაფუთი მასალის უტილიზაციასთან დაკავშირებით.

შეფუთული ჩიპსი ინახება მშრალ და გრილ ადგილას. შენახვის პირობები და ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმ ინგრედიენტებზე, რომელთა გამოყენებითაც იგი მზადდება. აღსანიშნავია, რომ კარტოფილის ჩიპსი იმ პროდუქტების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შენახვაც, სათანადო პირობებში, ხანგრძლივად და უდანაკარგოდ არის შესაძლებელი. რაც შეეხება, საწარმოს, ადგილი, სადაც ძირითადი საშუალებები იქნება განთავსებული და პროდუქციის დამზადება უშუალოდ იწარმოებს, სავალდებულოა, რომ სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის, ეგრეთ წოდებული „აისო“-ს მინიმალურ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებდეს.